



გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

17 ნოემბერი, 2020 წელი

ქ. ბათუმი

შესავალი ნაწილი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - კობა გოცირიძე
სხდომის მდივანი - ნინო ცინცაძე

მოსარჩევე - ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“

წარმომადგენელი - უშანგი მიქელაძე;

მოპასუხე- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია (უსკო)

წარმომადგენელი - ფრიდონ ბათნიძე

მესამე პირები - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პროპორციული საარჩევნო სისტემით ასარჩევი პარტიები (პარტია) „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა, თავისუფლებისთვის“ ; ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა; „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“; ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“; „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“; „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“; „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“; „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“; ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“; „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაძა)“; „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“ ; ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“; „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“; თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა; „სოციალური სამართლიანობისათვის“ ; „გირჩი“ – 36; "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"; „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა“ ; „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“; „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“; „ლელო - მამუკა ხაზარაძე“; „ბაგრატიონი-სახე+“



მესამე პირები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად პროპორციული წესით არჩეული კანდიტადები - გია აბულაძე; ლევან ანთაძე; ელგუჯა ბაგრატიონი; დავით ბაციკაძე; დავით გაბაიძე, ნადიმ ვარშანიძე; მედეა ვასაძე; თინათინ ზოიძე; დავით თედორაძე; გიორგი კირთაძე; გიორგი მანველიძე; ლადო მგალობლიშვილი; თორნიკე რიუვაძე; მამული სურმანიძე; ჯაბა ფუტკარაძე; ირაკლი ჩავლეიშვილი; ირაკლი ჭეიშვილი; ფატი ხალვაში;

მესამე პირი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული - ცოტნე ანანიძე;

მესამე პირები - არჩევნების მეორე ტურში გადასული კანდიდატები; გიორგი კირთაძე, ტიტე აროშიძე; გია აბულაძე, ფრიდონ ფუტკარაძე

მესამე პირები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი კანდიდატები N28 საარჩევნო ოლქი: ვახტანგ კალოიანი; გიორგი ცინცქილაძე; შალვა მაღრაძე; გიორგი კირთაძე; ჯუმბერ ტაკიძე; მარიამი გურგენიძე; რუსლან სალაძე; კახაბერ სირაბიძე; გოჩა გუგუნავა; სულიკო მიქელაძე; გიორგი მასალვინი; მირიან პაპუნიძე; ბექა დიასამიძე; ტიტე აროშიძე; ირაკლი ცეცხლაძე; ვლადიმერ ურუშაძე; მიხეილ მახარაძე; გენადი თებიძე; თენგიზ რუხაძე;

მესამე პირები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი კანდიდატები N29 საარჩევნო ოლქი: რევაზ ჯალალონია; იმედა თხილაიშვილი; ელგუჯა ბაგრატიონი, გულნარა ბასილაძე; მუხრან მგელაძე; ლაშა ვერულიძე; კახა ცეცხლაძე; მალხაზ ხაბაზი; ცოტნე ანანიძე, გიორგი ერქომაიშვილი; გია გოგიტიძე; ზურაბ გოლიაძე; ედნარ ბაგრატიონი ;

მესამე პირები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი კანდიდატები N30 საარჩევნო ოლქი: თემურ კახიძე; ზაზა ტარიელაძე; გია აბულაძე; დავით დავითაძე; უშანგი ცეცხლაძე; მარად აბულაძე; ასლან ვაშაყმაძე; ანუელა ვერძაძე; ბაჰადურ რიუვაძე; გიზო გორგილაძე; ფრიდონ ფუტკარაძე; ავთანდილ დიასამიძე; მერაბ აბაშიძე; პაატა შავაძე;

მესამე პირი - #28.79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია
წარმომადგენელი - ზვიად სურმანიძე

მესამე პირი - #29.81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისია
წარმომადგენელი - ჯემალ ბოჭორიშვილი

მესამე პირი - #30.80 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისია.
წარმომადგენელი - (არ გამოცხადდა)



დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი :

1. ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ სასარჩელო მოთხოვნა;

1.1 ბათილად იქნას ცნობილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი“

1.2. ბათილად იქნას ცნობილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების ოქმი“

დავის მოკლე შინაარსი: 2020 წლის 14 ნოემბერს უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი იქნა შემაჯამებელი ოქმები: 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი“ რომელიც შედგა 28.79; 29.81 და 30.80-30.82-30.83-30.84 საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე. ვინაიდან უმაღლესი საარჩევნო კომისია არის ზემდგომი საარჩევნო კომისია და მისი მოვალეობა არის საარჩევნო პროცესების გამჭვირვალედ და სრული კანონის დაცვის წარმართვის ზედამხედველი. მიაჩნია, რომ უმაღლეს საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება არის უკანონო, რადგან: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკი შექმნილ სამ საარჩევნო ოლქის შემაჯამებელი ოქმების მიხედვით ბათილად გამოცხადდა 5 352 ხოლო დაკარგულად 1 190 ბიულეტენი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პროპორციულ არჩევნების შედეგები ბათუმი 28.79 საოლქო საარჩევნო კომისია მოსული ამომრჩეველი 81 373, ქობულეთი N 29.81 საოლქო საარჩევნო კომისია 43 375 და 30.80-30.82-30.83-30.84 საოლქო კომისიის შემაჯამებელი ოქმის მიხედვით 62 115 ჯამში კი 186 863-მა ამომრჩეველმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა აქედან შესწორების ოქმებით ახსნა-განმარტებებით და საოლქო საარჩევნო კომისიების განკარგულებებით ნამდვილ ხმებად ჩაითვალა 180 330, ხოლო ბათილად გამოაცხადეს 5 352, დაკარგულად კი 1 190, ჯამში 6 542 ამომრჩევლის ნება უცნობია, რაც გავლენას მოახდენდა მანდატების რაოდენობაზე ან კიდევ საარჩევნო სუბიექტებზე რომლებიც ახლოს იყვნენ 5 პროცენტიან ბარიერთან. აღნიშნული ცნობილი იყო უმაღლესი საარჩევნო კომისიისთვის მაგრამ მისი მხრიდან მიუხედავად ამისა მოხდა შედეგების აღიარება და ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილების კანონიერად ცნობა. ასევე საყურადღებოა სპეც უბნების შედეგები 28.79.106 დან 28.79.121-დე საარჩევნო უბნებზე დაკარგულია ბიულეტენები რომელზეც არავის უმსჯელია თუ როგორ რა ვითარებაში შეიძლებოდა დაკარგულიყო ბიულეტენები. საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების 50



პროცენტზე მეტთან დაკავშირებით კენჭისყრიდან მეორე დღეს და ზოგ შემთხვაში მესამე დღეს დაიწერა ჯგუფური ახნა-განმარტებები. შესწორების ოქმებზე არ არის ხლმოწერები, იყო შემთხვევა 28.79.20 საუბნო საარჩევნო კომისიიდან სპეციალური კონვერტების გატანის ფაქტი ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრის მხრიდან. იყო მარკირებიანი ამომრჩევლის მცდელობა კვლავ მიეღო არჩევნებში მონაწილეობა სხვა საარჩევნო უბანზე. შერჩევით მოხდა საუბნო საარჩევნო კომისიის მხრიდან ამომრჩევლებზე უფლების მიცემა არჩევნებში მონაწილეობის. სადაც მიზეზად მოყავდათ, რომ იყო კოვიდ-19 ინფიცირებულთა სპეციალურ სიაში, დღის მეორე ნახევარში გაჩნდა სამედიცინო ცნობები თითქოს და აღარ იყვნენ კოვიდ ინფიცირებული. საერთო ჯამში კენჭისყრა წარიმართა ქაოტურად საჩივრების ფონზე, არავის დაუდგენია და გაურკვევია სპეციალურ სიებში შეყვანილმა ამომრჩევლებმა მისცეს თუ არა განმეორებით ხმა ძირითად უბნებზე. შემაჯამებელ ოქმებში არ იყო ბალანსები დაიკარგა საქართველოში ჩატარებული არჩევნების მიხედვით ყველაზე მეტი ბიულეტენი, რომელზეც არსებობს ვარაუდი, რომ ისინი გამოყენებული იყო კარუსელის ჩასატარებლად. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება და ამ ცვლილებით აღინიშნა, რომ საარჩევნო უბნიდან 25 მეტრის რადიუსში არ უნდა ყოფილიყო სხვადასხვა პირების შეკრება დღის განმავლობაში საარჩევნო უბნებთან მობილიზებული იყო კორდინატორები და სხვადასხვა გაურკვეველი წარმომავლობის პირები. (იხ. სარჩელი)

2. მხარეთა პოზიცია

2.1. მოპასუხის პოზიცია

2.1.1. მოპასუხე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია (უსკო) წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო, მხარი დაუჭირა საქმეზე წარმოდგენილ შესაგებელს და განმარტა, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. (იხ შესაგებელი)

3. მესამე პირების პოზიცია

3.1 მესამე პირები - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის არჩევნებში მონაწილე პროპორციული საარჩევნო სისტემით ასარჩევი პარტიები (პარტია) „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა, თავისუფლებისთვის“ ; ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა; „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“; ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“; „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“; „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“; „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“; „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“; ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“; „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“; „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქები“ ; ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“;



„გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი”; თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა; „სოციალური სამართლიანობისათვის“ ; „გირჩი“ – 36; „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“; „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა“ ; „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“; „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“; „ლელო - მამუკა ხაზარაძე“; „ბაგრატიონი-სახე-+“

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მხარეები გაფრთხილებული იყვნენ სასამართლო სხდომის შესახებ, ამასთან, არც გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზები არ უცნობებიათ სასამართლოსათვის. საქართველოს ადმინისტრაციული საპაროცესო კოდექსის 26¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით

3.2. მესამე პირები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად პროპორციული წესით არჩეული კანდიტადები - გია აბულაძე; ლევან ანთაძე; ელგუჯა ბაგრატიონი; დავით ბაციკაძე; დავით გაბაიძე, ნადიმ ვარშანიძე; მედეა ვასაძე; თინათინ ზოიძე; დავით თედორაძე; გიორგი კირთაძე; გიორგი მანველიძე; ლადო მგალობლიშვილი; თორნიკე რიჟვაძე; მამული სურმანიძე; ჯაბა ფუტკარაძე; ირაკლი ჩავლეიშვილი; ირაკლი ჭეიშვილი; ფატი ხალვაში;

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მხარეები გაფრთხილებული იყვნენ სასამართლო სხდომის შესახებ, ამასთან, არც გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზები არ უცნობებიათ სასამართლოსათვის. საქართველოს ადმინისტრაციული საპაროცესო კოდექსის 26¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით

3.3. მესამე პირი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად მაუორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული - ცოტნე ანანიძე;

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მხარე გაფრთხილებული იყო სასამართლო სხდომის შესახებ, ამასთან, არც გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზები არ უცნობებია სასამართლოსათვის. საქართველოს ადმინისტრაციული საპაროცესო კოდექსის 26¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის



შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით

3.4. მესამე პირები - არჩევნების მეორე ტურში გადასული კანდიდატები; გიორგი კირთაძე, ტიტე აროშიძე; გია აბულაძე, ფრიდონ ფუტკარაძე;

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მხარეები გაფრთხილებული იყვნენ სასამართლო სხდომის შესახებ, ამასთან, არც გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზები არ უცნობებიათ სასამართლოსათვის. საქართველოს ადმინისტრაციული საპაროცესო კოდექსის 26¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით

3.5. მესამე პირები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი კანდიდატები N28 საარჩევნო ოლქი: ვახტანგ კალოიანი; გიორგი ცინცქილაძე; შალვა მალრაძე; გიორგი კირთაძე; ჯუმბერ ტაკიძე; მარიამი გურგენიძე; რუსლან სალაძე; კახაბერ სირაბიძე; გოჩა გუგუნავა; სულიკო მიქელაძე; გიორგი მასალვინი; მირიან პაპუნიძე; ბექა დიასამიძე; ტიტე აროშიძე; ირაკლი ცეცხლაძე; ვლადიმერ ურუშაძე; მიხეილ მახარაძე; გენადი თებიძე; თენგიზ რუხაძე;

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მხარეები გაფრთხილებული იყვნენ სასამართლო სხდომის შესახებ, ამასთან, არც გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზები არ უცნობებიათ სასამართლოსათვის. საქართველოს ადმინისტრაციული საპაროცესო კოდექსის 26¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით

3.6. მესამე პირები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი კანდიდატები N29 საარჩევნო ოლქი: რევაზ ჯალაღონია; იმედა თხილაიშვილი; ელგუჯა ბაგრატიონი, გულნარა ბასილაძე; მუხრან მგელაძე; ლაშა ვერულიძე; კახა ცეცხლაძე; მალხაზ ხაბაზი; ცოტნე ანანიძე, გიორგი ერქომაიშვილი; გია გოგიტიძე; ზურაბ გოლიაძე; ედნარ ბაგრატიონი;

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მხარეები გაფრთხილებული იყვნენ



სასამართლო სხდომის შესახებ, ამასთან, არც გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზები არ უცნობებიათ სასამართლოსათვის. საქართველოს ადმინისტრაციული საპაროცესო კოდექსის 26¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით

3.7. მესამე პირები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი კანდიდატები N30 საარჩევნო ოლქი: თემურ კახიძე;ზაზა ტარიელაძე; გია აბულაძე; დავით დავითაძე; უშანგი ცეცხლაძე; მარად აბულაძე; ასლან ვაშაყმაძე; ანუელა ვერძაძე; ბაჰადურ რიუვაძე; გიზო გორგილაძე; ფრიდონ ფუტკარაძე; ავთანდილ დიასამიძე; მერაბ აბაშიძე; პაატა შავაძე;

სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მხარეები გაფრთხილებული იყვნენ სასამართლო სხდომის შესახებ, ამასთან, არც გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზები არ უცნობებიათ სასამართლოსათვის. საქართველოს ადმინისტრაციული საპაროცესო კოდექსის 26¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით

3.8. მესამე პირი - #28.79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო. (იხ. სხდომის ოქმი)

3.9. მესამე პირი - #29.81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო. (იხ. სხდომის ოქმი)

3.10 მესამე პირი - #30.80 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მხარეები გაფრთხილებული იყვნენ სასამართლო სხდომის შესახებ, ამასთან, არც გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზები არ უცნობებიათ სასამართლოსათვის. საქართველოს ადმინისტრაციული საპაროცესო კოდექსის 26¹ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.



სასამართლო განმარტავს, რომ პროცესში მონაწილე მხარეთა გაფრთხილება დადგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ **73-ე მუხლის 32-ე პუნქტის** თანახმად სასამართლოები საარჩევნო დავებზე საერთო სასამართლოებში წარდგენილი სარჩელების/საჩივრების შესახებ ინფორმაციას დაუყოვნებლივ აწვდიან უსკოს. ამასთანავე, შესაბამისი სასამართლო უსკოს უგზავნის განსახილველ საქმესთან დაკავშირებულ განჩინებას სხდომის დანიშვნისა და მესამე პირების ჩაბმის შესახებ. ამ განჩინებას უსკო მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ განათავსებს საკუთარ ვებგვერდზე. აღნიშნული განჩინება უსკოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან **3 საათის გასვლისთანავე** მესამე პირებისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, ხოლო ისინი სასამართლო პროცესზე დაბარებულად ჩაითვლებიან. (24.07.2020 N 124)

4. ფაქტობრივი გარემოებები

4.1. 2020 წლის 14 ნოემბერს უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი იქნა შემაჯამებელი ოქმები: 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი“ რომელიც შედგა 28.79; 29.81 და 30.80-30.82-30.83-30.84 საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე. ვინაიდან უმაღლესი საარჩევნო კომისია არის ზემდგომი საარჩევნო კომისია და მისი მოვალეობა არის საარჩევნო პროცესების გამჭვირვალედ და სრული კანონის დაცვის წარმართვის ზედამხედველი. მიაჩნია, რომ უმაღლეს საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება არის უკანონო, რადგან: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილ სამ საარჩევნო ოლქის შემაჯამებელი ოქმების მიხედვით ბათილად გამოცხადა 5 352 ხოლო დაკარგულად 1 190 ბიულეტენი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პროპორციულ არჩევნების შედეგები ბათუმი 28.79 საოლქო საარჩევნო კომისია მოსული ამომრჩეველი 81 373, ქობულეთი ზ 29.81 საოლქო საარჩევნო კომისია 43 375 და 30.80-30.82-30.83-30.84 საოლქო კომისიის შემაჯამებელი ოქმის მიხედვით 62 115 ჯამში კი 186 863-მა ამომრჩეველმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა აქედან შესწორების ოქმებით ახსნა-განმარტებებით და საოლქო საარჩევნო კომისიების განკარგულებებით.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი“ 2. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების ოქმი“ N 28 საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი. N 29 საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმები. N 30. საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი



4.2. ნამდვილ ხმებად ჩაითვალა 180 330, ხოლო ბათილად გამოაცხადეს 5 352 დაკარგულად კი 1 190, ჯამში 6 542 ამომრჩევლის ნება უცნობია რაც გავლენას მოახდენდა მანდატების რაოდენობაზე ან კიდევ საარჩევნო სუბიექტებზე რომლებიც ახლოს იყვნენ 5 პროცენტიან ბარიერთან. აღნიშნული ცნობილი იყო უმაღლესი საარჩევნო კომისიისთვის მაგრამ მისი მხრიდან მიუხედავად ამისა მოხდა შედეგების აღიარება და ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული უკანონო გადაწყვეტილების კანონიერად ცნობა. ასევე საყურადღებოა სპეც უბნების შედეგები 28.79.106 დან 28.79.121-დე საარჩევნო უბნებზე დაკარგულია ბიულეტენები რომელზეც არავის უმსჯელია თუ როგორ რა ვითარებაში შეიძლებოდა დაკარგულიყო ბიულეტენები. საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების 50 პროცენტზე მეტან დაკავშირებით კენჭისყრიდან მეორე დღეს და ზოგ შემთხვაში მესამე დღეს დაიწერა ჯგუფური ახნა-განმარტებები. შესწორების ოქმებზე არ არის ხელმოწერები, იყო შემთხვევა 28.79.20 საუბნო საარჩევნო კომისიიდან სპეციალური კონვერტების გატანის ფაქტი ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრის მხრიდან. იყო მარკირებიანი ამომრჩევლის მცდელობა კვლავ მიეღო არჩევნებში მონაწილეობა სხვა საარჩევნო უბანზე. შერჩევით მოხდა საუბნო საარჩევნო კომისიის მხრიდან ამომრჩევლებზე უფლების მიცემა არჩევნებში მონაწილეობის. სადაც მიზეზად მოყავდათ, რომ იყო კოვიდ-19 ინფიცირებულთა სპეციალურ სიაში, დღის მეორე ნახევარში გაჩნდა სამედიცინო ცნობები თითქოს და აღარ იყვნენ კოვიდ ინფიცირებული. საერთო ჯამში კენჭისყრა წარიმართა ქაოტურად საჩივრების ფონზე, არავის დაუდგენია და გაურკვევია სპეციალურ სიებში შეყვანილმა ამომრჩევლებმა მისცეს თუ არა განმეორებით ხმა ძირითად უბნებზე. შემაჯამებელ ოქმებში არ იყო ბალანსები დაიკარგა საქართველოში ჩატარებული არჩევნების მიხედვით ყველაზე მეტი ბიულეტენი, რომელზეც არსებობს ვარაუდი, რომ ისინი გამოყენებული იყო კარუსელის ჩასატარებლად. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კოდექსში შევიდა ცვლილება და ამ ცვლილებით აღინიშნა, რომ საარჩევნო უბნიდან 25 მეტრის რადიუსში არ უნდა ყოფილიყო სხვადასხვა პირების შეკრება დღის განმავლობაში საარჩევნო უბნებთან მობილიზებული იყო კორდინატორები და სხვადასხვა გაურკვეველი წარმომავლობის პირები ეს ყოველივე ცნობილი იყო უმაღლესი საარჩევნო კომისიისთვის, ამ კომისიის წევრები მთელი დღის განმავლობაში დადიოდნენ საარჩევნო უბნებზე და მათი მხრიდან არ ხდებოდა უკანონობის აღკვეთა.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
იხ. სარჩელი მხარეთა ახსნა-განმარტება;

4.3 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების ოქმი“ აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიას არ გაჩენია კითხვა 29.81 საოლქო საარჩევნო კომისის მიერ აჭარის ა.რ უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარულ სისტემით ჩატარებულ არჩევნების შემაჯამებელ ოქმის მიმართებაში, სადაც ახსნა-განმარტებებით და შესწორების ოქმების მიუხედავად

ბათილ ბიულეტენად გამოცხადა 1 531, ხოლო დაკარგულად 270, როცა ნამდვილი ხმების 41 574 ნახევარი ანუ 50 პროცენტი არის 20 787 ხოლო მ.პ.გ „ქართული ოცნება“-ის კანდიდატის ხმების ჯამი არის 20 809 ანუ 22 ხმით გადალახა 50 პროცენტი. ეს იმის ფონზე ბათილებს, რომ თავი დავანებოთ დაკარგულია 270 ბიულეტენი რაც გაზრდიდა ნამდვილი ხმების რაოდენობას და შესაბამისად დადგებოდა მეორე ტური. მაგრამ ეს ყოველივე არ გახდა უმაღლესი საარჩევნო კომისიისთვის დამაბრკოლებელი გარემოება. (არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა 43 375 გამოკლებული ნამდვილი ხმები 41 574 მიღებულს გამოკლებული ბათილი 1 531 მივიღებთ 270 ანუ დაკარგულ ბიულეტენების რაოდენობა. ნამდვილ ბიულეტენებს 41 574 თუ დავამატებთ 270-ს მივიღებთ 41 844-ს და თუ გავყოფთ ორზე მივიღებთ 20 922-ს, რაც იქნებოდა 50 პროცენტი) აღნიშნულიდან გამომდინარე, მიღებული განკარგულება მიაჩნია უკანონოდ რადგან დაკარგული ბიულეტენების რაოდენობა გავლენას ახდენს შედეგებზე და შესაბამისად განკარგულების მიღება ასეთ შემაჯამებელ ოქმზე დაყრდნობით არ შეიძლება და ვერ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

იხ. სარჩელი მხარეთა ახსნა-განმარტება;

4.4. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების 14/11/ 2020 წლის შემაჯამებელი ოქმის თანახმად; პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა **186 863** ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა **5 352 საარჩევნო** სუბიქტებისათვის მიღებული ხმათა რაოდენობა. „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა, თავისუფლებისთვის“ 5 146 2.85% ; ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა; 1 876 1.04% „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“ 423 0.23%; ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“; 61 242 33.96% „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ 5 923 3.28% ; „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“; 1 325 0.73% „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“; 401. 0.22% „ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო“; 365. 0.2% ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“; 1 457 0.81% „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაძი)“; 509 0.28% „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“ ; 1 459 0.81%. ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“; 234 0.13% „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“; 5 982 3.32% თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა; 183 0.1 % „სოციალური სამართლიანობისათვის“ ; 288 0.16% „გირჩი“ – 36; 3 004 1.67% "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"; 82 700 45.86% - ქართული იდეა“ ; 938 0.52% „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“; 387 0.21% „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“; 556 0.31% „ლელო - მამუკა ხაზარაძე“; 5 494 3.05% „ბაგრატიონი-სახე+“ 438. 0.24% ყოველი სარჩევნო სუბიქტის მიერ მიღებული ხმების ჯამური ოდენობა **180 330.** „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს



წევრებად არჩეულნი არიან გია აბულაძე; ლევან ანთაძე; ელგუჯა ბაგრატიონი; დავით ბაციკაძე; დავით გაბაიძე, ნადიმ ვარშანიძე; მედეა ვასაძე; თინათინ ზოიძე; დავით თედორაძე; გიორგი კირთაძე; გიორგი მანველიძე; ლადო მგალობლიშვილი; თორნიკე რიქვაძე; მამული სურმანიძე; ჯაბა ფუტკარაძე; ირაკლი ჩავლეიშვილი; ირაკლი ჭეიშვილი; ფატი ხალვაში;

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

იხ. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების 14/11/ 2020 წლის შემაჯამებელი ოქმი.

4.5. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების 14/11/2020 წლის შემაჯამებელი ოქმის თანახმად; ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა **314 889**. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა და ბათილად ცნობილი ბიულეტების რაოდენობა ყოველი საარჩევნო ოლქში. მაჟორიტარული **საარჩევნო ოლქი #28** ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა **147 292**. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა **81 373**. ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა **3 052**. მაჟორიტარული **საარჩევნო ოლქი #29** ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა **70 837** არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა **43 375**. ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა **1 531**. მაჟორიტარული **საარჩევნო ოლქი #30** ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა **96 760**. არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა **62 115**. ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა **2 584**. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებად მაჟორიტარული საარჩევნოს სისტემით არჩეულია #29 საარჩევნო ოლქი **ანანიძე ცოტნე** "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"; მიღებული ხმების **რაოდენობა 20 809 50.05%**. არჩევნების მეორე ტურში გასული კანდიდატები #28 საარჩევნო ოლქი გიორგი კირთაძე მიღებული ხმების რაოდენობა **26 599 34.46%**. **ტიტე აროშიძე** მიღებული ხმების რაოდენობა **32 332 41.89%**. #30 საარჩევნო ოლქი გია აბულაძე მიღებული ხმების რაოდენობა **19 044 32.12%**. ფრიდონ ფუტკარაძე **29.408 49.6%**.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

იხ. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის მაჟორიტარული **საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების 14/11/2020 წლის შემაჯამებელი ოქმი.**

4.6. საქმეში წარმოდგენილია **#28.79. #30.80 და #29.81** საოლქო სარჩევნო კომისიების მიერ აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით, როგორც პროპორციული ისე მაჟორიტარული წესით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები დათარიღებული **11.11.2020 წელს**.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:



იხ. შემაჯამებელი ოქმები. 17.11.20 წლის სასამართლოს სხდომის ოქმი.

5. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

5.1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. აღნიშნული ნორმის შინაარსი გულისხმობს იმას, რომ მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ განკარგონ ფაქტიური გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები, აგრეთვე, მხარეთა უფლებას, მიუთითონ ფაქტებზე თავიანთი მოთხოვნების დასასაბუთებლად და წარმოადგინონ მტკიცებულებები ამ ფაქტების დადასტურება-დამტკიცებისათვის. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარის მიერ მიცემული ნებისმიერი ახსნა-განმარტება სადავო ურთიერთობის ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად უნდა ჩაითვალოს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ პრინციპებს. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე იმ გარემოებას, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით, ასაბუთებს სასამართლოსათვის მიცემული ახსნა-განმარტებით, რაც სხდომაზე მონაწილე მხარეთა განმარტებებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს გაზიარებული.

სამოტივაციო ნაწილი :

6. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა



საქმეში არსებული მასალების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

7. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ.

8. სამართლებრივი შეფასება

8.1. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად, „1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. 2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.3. დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციური უფლების მნიშვნელობას. „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტია. ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1). „სამართლიანი სასამართლოს უფლება ... უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლებების ეფექტურ რეალიზაციას და უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისგან დაცვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/403,427 საქმეზე „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1).

სამართლებრივი სახელმწიფოს უპირველეს მოთხოვნას წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო რეალიზაციის უზრუნველყოფა. „ამდენად, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი



სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს. ამა თუ იმ უფლებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტია ზუსტად მისი სასამართლოში დაცვის შესაძლებლობაა. თუკი არ იქნება უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა, სამართლებრივი ბერკეტი, თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ“ **(საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №3/1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14).**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ხელმძღვანელობს რა საქართველოს კონსტიტუციით, მისი ფუძემდებლური პრინციპებით და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებით, აღგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციას. კონსტიტუციის მე-2 მუხლის თანახმად 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებია: ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო; ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა; გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო; დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია; ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება.

8.2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან დასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული სადაც აქტები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის საფუძველზე წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომელთა კანონშესაბამისობაც სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოცემული სარჩელის ფარგლებში.



ადმინისტრაციული მართლმსაჯულების მეშვეობით პირი ახდენს თავისი სუბიექტური უფლების სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობის რეალიზაციას, ხოლო სასამართლო ამოწმებს ადმინისტრაციის მოქმედების კანონიერებას. ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. ე.ი. ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. სასამართლო მიუთითებს, რომ მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს უფლებებში ეფექტურ აღდგენას. სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ პირის შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

8.3. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ არ არის სავალდებულო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეების მიერ წამოჭრილ ყველა არგუმენტს სცემდეს დეტალურ პასუხს (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Suominen v. Finland, პუნქტი 34; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Van de Hurk v. the Netherlands, პუნქტი 61). მთავარია, ეროვნულმა სასამართლოებმა ნათლად დაასახელონ თავისი მსჯელობის განმაპირობებელი ასპექტები, განსაკუთრებით კი ისეთები, რომლებიც გადაწყვეტი მნიშვნელობის იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Georgiadis v. Greece, პუნქტი 43).

გამომდინარე აქედან, ბათუმის საქალაქო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ საქმის განხილვის შედეგად გამოკვეთილ არსებით საკითხებზე და მისცემს მათ სამართლებრივ შეფასებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ. **პირველი მუხლის** თანახმად დადგენილია რომ ეს კანონი არეგულირებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში – უმაღლესი საბჭო) არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ადგენს არჩევნებში მონაწილეთა უფლებებს, ვალდებულებებსა და გარანტიებს, საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის წესსა და უფლებამოსილებას, აგრეთვე ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავის განხილვისა და პასუხისმგებლობის დაკისრების წესს. **ამავე კანონის მე-8 მუხლის** პირველი ნაწილის შესაბამისად უმაღლესი საბჭო შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საარჩევნო უფლების მქონე

საქართველოს მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით პროპორციული სისტემით არჩეული 18 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 3 დეპუტატისაგან. **ამავე კანონის მე-10 მუხლის 1-6 ნაწილების შესაბამისად** 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან და იქმნება ამ კანონის შესაბამისად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის წესი განისაზღვრება ამ კანონით, ხოლო უფლებამოსილება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და ამ კანონით. 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება: **ა) უსკოსა და მისი აპარატისგან; ბ) საოლქო საარჩევნო კომისიებისგან; გ) საუბნო საარჩევნო კომისიებისგან.** 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა უსკო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. 4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ამ კანონით განსაზღვრული არჩევნების ჩატარებისას, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისიები ექვემდებარება უსკოს. 5. თუ ერთდროულად ტარდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები. 6. უსკოს აპარატის თანამშრომლები (გარდა შრომითი/ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისა) საჯარო მოხელეები არიან და მათზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი. **ამავე კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია უსკოს უბლებამოსილება კერძოდ პირველი პუნქტის ;კ; ქვეპუნქტის თანახმად საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების თაობაზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გათვალისწინებით ადგენს უმაღლესი საბჭოს არჩევნების (პარტიული სიებით) შედეგებს, რის თაობაზედაც დგება უსკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი;**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტებია: **ა) უსკოს დადგენილება და განკარგულება, უსკოს თავმჯდომარის ბრძანება და განკარგულება, უსკოს მდივნის განკარგულება, უსკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი; ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება, კომისიის თავმჯდომარის განკარგულება, კომისიის მდივნის განკარგულება, საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები; გ) საუბნო**



საარჩევნო კომისიის განკარგულება, კომისიის თავმჯდომარის განკარგულება, საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი. **ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კი საარჩევნო კომისიის, მისი თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის განკარგულებები, კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც მიიღება/გამოიცემა ამ კანონითა და უსკოს დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. კომისიის განკარგულებას ხელს აწერენ კომისიის შესაბამისი სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.**


ამავე კანონის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად უსკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმებისა და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების საფუძველზე, არჩევნების დღიდან არაუგვიანეს მე-19 დღისა, თავის სხდომაზე აჯამებს უმაღლესი საბჭოს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგებს, საჭიროების შემთხვევაში ნიშნავს არჩევნების მეორე ტურის დღეს და ადგენს არჩევნების პირველი ტურის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, თუ დაინიშნა არჩევნების მეორე ტური, ხოლო თუ არჩევნების მეორე ტური არ დაინიშნა – ადგენს უმაღლესი საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს; თუ არჩევნების მეორე ტური დაინიშნა, მეორე ტურის კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-19 დღისა ადგენს უმაღლესი საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს. **ხოლო მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბმისად კი 2.** უსკო აჯამებს არჩევნების შედეგებს და ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რომელშიც აღინიშნება: ა) ამომრჩეველთა რაოდენობა; ბ) არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა; გ) ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა; დ) საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობები; ე) არჩეული პირის (პირების) ვინაობა. ვ) ამ კანონის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული მონაცემები. 3. არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს ხელს აწერენ უსკოს თავმჯდომარე და უსკოს მდივანი. ოქმის ერთი ეგზემპლარი ინახება უსკოში, თითო ეგზემპლარი გადაეცემათ უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. ოქმის ასლები გადაეცემა ყველა დაინტერესებულ პირს. **ამავე მუხლის მე-20 და 20²-ე პუნქტების შესაბამისად კი 20.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში მითითებული უნდა იყოს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა და ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა; ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების ჯამური რაოდენობა; ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების პროცენტი და მიღებული მანდატების რაოდენობა; იმ საარჩევნო ოლქებისა და უბნების ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, აგრეთვე მათში ამომრჩეველთა რაოდენობა და არჩევნების ბათილად ცნობის მიზეზები. **20²** არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმში მითითებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა და ყოველი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა; იმ საარჩევნო ოლქებისა და უბნების ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა



ცნობილი და განმეორებითი კენჭისყრა არ გამართულა, აგრეთვე მათში ამომრჩეველთა რაოდენობა; იმ საარჩევნო ოლქების ნომრები, რომლებშიც ხელახალი არჩევნები დაინიშნა, და ხელახალი არჩევნების თარიღი; პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, მიღებული ხმების პროცენტი და მიღებული მანდატების რაოდენობა; წარმდგენ საარჩევნო სუბიექტთა მიხედვით დალაგებული არჩეულ უმაღლეს საბჭოს წევრთა სია, მათი პარტიული კუთვნილებისა და მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის (თუ ასეთ ოლქებში იქნენ არჩეული) მითითებით. **ამავე კანონის 76¹ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების თანახმად** 7. უსკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, არჩევნების დღიდან არაუგვიანეს მე-19 დღისა, თავის სხდომაზე აჯამებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგებს, საჭიროების შემთხვევაში განვარგულებით ნიშნავს არჩევნების მეორე ტურს, რომელიც იმართება არჩევნებიდან მესამე შაბათს და ადგენს არჩევნების პირველი ტურის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, თუ დაინიშნა არჩევნების მეორე ტური, ხოლო თუ არჩევნების მეორე ტური არ დაინიშნა – ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს; თუ არჩევნების მეორე ტური დაინიშნა, მეორე ტურის კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-19 დღისა ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს. 8. პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელ მიმში მითითებული უნდა იყოს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა და ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა; ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების ჯამური რაოდენობა; ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების პროცენტი და პროპორცილი წესით არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრთა ანბანური სია, ასევე იმ საარჩევნო ოლქებისა და უბნების ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, აგრეთვე მათში ამომრჩეველთა რაოდენობა და არჩევნების ბათილად ცნობის მიზეზები.

სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული სადაო აქტები - წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. შესაბამისად, დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან, ასევე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ შესაბამის დებულებებთან.

8.4. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს –



საკრებულოს, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს – მერის/გამგებლის არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ადგენს არჩევნებში მონაწილეთა უფლებებსა და გარანტიებს, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის წესსა და უფლებამოსილებას, აგრეთვე ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში დავის განხილვის წესს.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ ნორმათა თანახმად, არჩევნები არის საარჩევნო პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა, სწორედ ამ მიზნით შექმნილია საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან. თავის მხრივ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება: ა) ცესკოსა და მისი აპარატისგან, ბ) უსკოსა და მისი აპარატისგან, გ) საოლქო საარჩევნო კომისიებისგან და დ) საუბნო საარჩევნო კომისიებისგან (მე-7 მუხლი).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ **მე-60 მუხლის თანახმად კენჭისყრა და შედეგების შეჯამება** თუ ეს კანონი სხვა რამეს არ ითვალისწინებს, უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე კენჭისყრის პროცედურა, კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიებში და უსკოში ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის დადგენილი წესით. **ამავე კანონის 61-ე მუხლის შესაბამისად განცხადებები და საჩივრები, კენჭისყრის და ხმის დათვლის პროცედურების დარღვევებზე, რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 72-ე და 73-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამავე კანონის 62-ე მუხლი შესაბამისად 1. საუბნო საარჩევნო კომისია აჯამებს კენჭისყრის შედეგებს და შეაქვს მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემებით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში. 2. პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი დგება პარტიული სიების მიხედვით, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების ოქმი – მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატების მიხედვით. ამავე კანონის **63-ე მუხლის თანახმად** ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებული განცხადებების/ საჩივრების განხილვა რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ **74-ე მუხლით დადგენილი წესით.** ბოლო **64-ე მუხლი პირველი პუნქტის** შესაბამისად კი 1. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს **მე-11 დღისა აჯამებს უმაღლესი საბჭოს არჩევნების კენჭისყრის შედეგებს, ადგენს საარჩევნო ოლქში****



გამართული მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს, რომლებსაც **არაუგვიანეს მომდევნო დღისა გადასცემს უსკოს.**

სასამართლო ასევე მიუთითებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის **73-ე მუხლზე, რომლის თანახმად,** 1. საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საარჩევნო კომისიაში. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში ამ კანონით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. 2. საუბნო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს 1 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. 3. საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების გამო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების უსკოში გასაჩივრების შემთხვევაში განცხადება/საჩივარი განუხილველი რჩება. 4. საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილები მათი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უსკოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. უსკოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში. ბათუმის საქალაქო სასამართლო საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. 5. უსკოს/უსკოს ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. ბათუმის საქალაქო სასამართლო საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



მითითებული საკანონმდებლო აქტის **74-ე მუხლის მე-24 პუნქტის** თანახმად, უსკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამო სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება აქვთ: **არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, მაჟორიტარ კანდიდატს, დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას.**

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2020 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნები გაიმართა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მათ შორის საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ბათუმის #28. ხელვაჩაურის #30.და ქობულეთის #29. საარჩევნო ოლქში.

8.5. სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც ადმინისტრაციული წარმოების, ასევე სამართალწარმოების პროცესში, გამოკვლეული მტკიცებულებებით მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დადასტურებული ფაქტები. სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას და შესაგებელს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, მხარეები ადმინისტრაციული საქმის განხილვისას სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საარჩევნო პროცესის გამართულობის უზრუნველყოფის მიზნით საარჩევნო კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან დააფიქსირონ და აღმოჩენის შემთხვევაში გაასაჩივრონ საარჩევნო პროცედურის დარღვევა, რაც გულისხმობს წარდგენილ განცხადება/საჩივარში სათანადო ფაქტობრივი გარემოებების მითითების აუცილებლობას. თუნდაც სარჩელის წარდგენისას სასამართლო ხელმძღვანელობს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, ხოლო ამ უკანასკნელთა მითითების ვალდებულება სწორედ მოსარჩელეს ეკისრება. ის მოსაზრება, რომ არ არსებობს მოსარჩელის მიერ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლებით დასაბუთების აუცილებლობა, არ ათავისუფლებს მას იმ ვალდებულებისაგან, რომ სარჩელში სათანადოდ წარმოაჩინოს მიერ სადაცოდ მიჩნეული დარღვევები.



საქართველოს უზენაესი კანონის - კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

სასამართლო აღნიშნავს, რომ დემოკრატიის დროს მთელი ძალაუფლება უშუალოდ ხალხს ან მათ წარმომადგენლებს ეკუთვნით, რასაც ცხადყოფს მითითებული მუხლის მე-2 პუნქტი, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით.

საყურადღებოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობის თანახმად, დემოკრატია, უშუალო გაგებით, გულისხმობს რა ხალხის მმართველობას, შესაბამისად, ის, თავისთავად, გულისხმობს მოქალაქეთა უფლებას, მიიღონ მონაწილეობა ხელისუფლების როგორც ფორმირებაში, ისე განხორციელებაში. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი განამტკიცებს სახალხო სუვერენიტეტის იდეას. კერძოდ: „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი... ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“. დემოკრატია, პირველ რიგში, სწორედ სახალხო სუვერენიტეტის რეალიზებით ვლინდება, რადგან ხალხის მონაწილეობა ხელისუფლების განხორციელებაში არის დემოკრატიის ძირითადი არსი, საფუძველი და მიზანი. მაშასადამე, მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში, წარმოადგენს ფუნდამენტურ დემოკრატიულ პრინციპს. ამიტომ სახალხო სუვერენიტეტის იდეა ემსახურება რა ხალხის ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობის უზრუნველყოფას და, შედეგად, პირდაპირი, უშუალო დემოკრატიის რეალიზაციას, ის ყველა დონეზე უნდა განხორციელდეს (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 02 მაისის №3/1/574 გადაწყვეტილება).

მაშასადამე, დემოკრატიის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს არჩევნები, რის შესახებაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი ოქმის მე-3 მუხლში ვკითხოლობთ, რომ მაღალი ხელმომწერი მხარეები გონივრული ინტერვალით ატარებენ თავისუფალ არჩევნებს ფარული კენჭისყრის საშუალებით ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს ხალხის ნების თავისუფალ გამოხატვას საკანონმდებლო ხელისუფლების არჩევაში.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი ვრცელდება წინასაარჩევნო პერიოდზე, ხმების დათვლისა და შედეგების აღრიცხვის და გადაცემის ჩათვლით. ამრიგად, სახელმწიფოებს ეკისრებათ პოზიტიური მოვალეობა, უზრუნველყონ იმ პროცესის სიფრთხილით რეგულირება, რომელშიც ხდება ხმის შედეგების განსაზღვრა, დამუშავება და აღრიცხვა (*Davydov and Others v. Russia, §§ 284-285*). ამ მიმართულებით საინტერესოა საერთაშორისო რეკომენდაციების გაზიარება.



8.6.სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა იცნობს საყოველთაობის, თავისუფლების, პირდაპირობის, თანასწორობისა და ფარულობის საარჩევნო პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით (საარჩევნო უფლება) და 37-ე მუხლის მე-2 პუნქტით (პარლამენტის არჩევნები), რომელთა თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა; პარლამენტი შედგება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით არჩეული პარლამენტის წევრისაგან. ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ. **კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის** შესაბამისად უმაღლესი საბჭო შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით პროპორციული სისტემით არჩეული 18 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 3 დეპუტატისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მისწრაფებაა ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის თანახმად, აღნიშნულ პროცესში აქტიურ მონაწილედ სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი შტო - სასამართლო გვევლინება, მით უფრო, იმ პირობებში, როცა სადაც სამართლებრივი ურთიერთობების რეგულაციები მოითხოვს განმარტებას და რომლითაც მას უხდება ამ ურთიერთობების აყვანა თანამედროვე დონეზე და როცა მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს. ამ მიმართულებით, სადაც საკითხის შეფასებისათვის მნიშვნელოვანია ვენეციის კომისიის რეკომენდაციების მოხმობა, რაც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ პრინციპების ნორმატიულ შინაარსს და საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, შეგვიძლია გამოვიყენოთ, როგორც ე.წ. „**რბილი სამართალი**“ (Soft Law).

უპირველეს ყოვლისა სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნოს, რომ კომისია ემსახურება სხვადასხვა დემოკრატიული ინსტიტუტების საქმიანობით წარმოშობილი პრობლემების განხილვას, მათ გამყარებასა და განვითარებას. კომისია პრიორიტეტულად მიიჩნევს იმ საქმიანობას, რომელიც შეეხება კონსტიტუციურ, საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ პრინციპებსა და ტექნიკას, რაც უზრუნველყოფს დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტურობასა და მათ გაძლიერებას, ძირითად ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლის (კანონის) უზენაესობის პრინციპების დაცვა კომისიის მიერ ხორციელდება ოთხი მიმართულებით: 1. კონსტიტუციური სამართლის სფეროს ხელშეწყობა; 2. **არჩევნები და რეფერენდუმები,** 3. **საკონსტიტუციო**



სასამართლოებთან თანამშრომლობა; 4. კვლევებისა და სემინარების ჩატარება. აღსანიშნავია, რომ კომისის არაერთი რეკომენდაციაა გაზიარებული საქართველოს მიერ.

ვენეციის კომისიის **საარჩევნო ნორმათა კოდექსის** სახით სახელმძღვანელო მითითებები არჩევნებთან დაკავშირებით მიღებულ იქნა ვენეციის კომისიის 51-ე სხდომაზე (ვენეცია, 5-6 ივლისი, 2002), რომლის პირველი პუნქტი მთლიანად იზიარებს საქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლით რეგლამენტირებულ პრინციპებს და განმარტავს, რომ ევროპის საარჩევნო მემკვიდრეობის ძირითადი პრინციპები ევროპის საარჩევნო მემკვიდრეობის ხუთი ფუძემდებლური პრინციპია: საყოველთაო, თანასწორი, თავისუფალი, ფარული და პირდაპირი კენჭისყრა. აღნიშნული პრინციპების არსებობის უზრუნველსაყოფად, საარჩევნო ნორმათა კოდექსის **3.3. პუნქტის „ა”, „გ” და „ზ” ქვეპუნქტები** სამართლებრივი დაცვის ეფექტური სისტემის, დარღვევის არსებობისას, საჩივრის წარდგენის მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე მიგვითითებენ. კერძოდ, ქვეპუნქტების თანახმად, საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებულ საჩივრებს უნდა განიხილავდეს საარჩევნო კომისია ან სასამართლო; გასაჩივრების პროცედურა და შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილება და მოვალეობები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული კანონმდებლობით. უნდა არსებობდეს კანონით მკაცრად განსაზღვრული, რეგულირებული პროცედურა, რათა თავიდან იქნას აცილებული პოზიციურ თუ ნეგატიურ კომპეტენციების გადანაწილებასთან დაკავშირებული ყველანაირი კონფლიქტი; საჩივრის შეტანისა და გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადები უნდა იყოს მოკლე. იგივეს იმეორებს იმავე კოდექსის 94-ე პუნქტი.

აღნიშნულ რეკომენდაციების სულისკვეთებას სრულად მიესადაგება საქართველოს საარჩევნო კოდექსი, რომლის **72-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის** მიხედვით, განცხადება/საჩივარი გადაეცემა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს ან კომისიის მდივანს. კომისიის მდივანი რეგისტრაციაში გაატარებს განცხადებას/საჩივარს ჩანაწერთა წიგნში, ხოლო განცხადებელს/მომჩივანს გადასცემს ცნობას (თავისი ხელმოწერით), რომელშიც აღინიშნება შესაბამისი განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი, დრო და სარეგისტრაციო ნომერი; საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება განცხადებაზე/საჩივარზე და აღმოფხვრას არსებული დარღვევა. თუ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ არ აღმოფხვრა დარღვევა ან სხვაგვარი ფორმით უარი განცხადა განცხადებაზე/საჩივარზე რეაგირებაზე, დამკვირვებელს/საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს ან იმავე სადამკვირვებლო ორგანიზაციის სხვა დამკვირვებელს/საარჩევნო სუბიექტის სხვა წარმომადგენელს უფლება აქვს, აღნიშნული დარღვევა დაუყოვნებლივ გაასაჩივროს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

იმავე კოდექსის **73-ე მუხლის მე-2 პუნქტის** თანახმად, განცხადება/საჩივარი ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი




დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით შედგენილი უნდა იქნეს საარჩევნო ყუთის გახსნიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე, ამ კანონის 72-ე მუხლით დადგენილი წესით.

72-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს განცხადება/საჩივარში სავალდებულოდ მისათითებელ რეკვიზიტებს, სახელდობრ, მასში უნდა აღინიშნოს: ა) განცხადების/საჩივრის შედგენის თარიღი და დრო; ბ) განმცხადებლის/მომჩივნის სახელი, გვარი და რეგისტრაციის ადგილი; გ) საარჩევნო უბნის ნომერი; დ) მოწმის არსებობის შემთხვევაში – მისი სახელი, გვარი და რეგისტრაციის ადგილი; ე) დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო; ვ) დამრღვევის დადგენის შემთხვევაში – მისი ის მონაცემები, რომელთა დადგენაც შესაძლებელი გახდა; ზ) დამრღვევის ახსნა-განმარტება (ასეთის არსებობის შემთხვევაში); თ) სხვა დამატებითი ინფორმაცია. ვხედავთ, რომ აღნიშნული, თითოეული მონაცემები წარმოადგენს იმ სავალდებულო ელემენტების ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია განცხადება/საჩივრის სრულყოფილად მიჩნევისათვის, რაც **72-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აძლევს შესაძლებლობას დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება განცხადებაზე/საჩივარზე და არსებობის შემთხვევაში, აღმოფხვრას დარღვევა.**

სასამართლო განმარტავს, რომ განცხადება/საჩივარი საარჩევნო დავის შემადგენელი ნაწილია. ამ პროცესში საარჩევნო კოდექსით დადგენილი მართლწესრიგი დაუშვებლად მიიჩნევს საარჩევნო დავის დროში გაგრძელების შესაძლებლობას. საარჩევნო პროცესი, ცალკეული მოქმედებები, რომლებიც არჩევნებთან არის დაკავშირებული, საჭიროებს მყისიერ და დაუყოვნებლივ რეაგირებას. ამის ნათელი მაგალითია საარჩევნო კოდექსის მე-5 მუხლი, რომლის პირველი პუნქტში ვკითხულობთ, რომ ამ კანონით დადგენილი ყველა ვადა საარჩევნო პერიოდში, მათ შორის, სასამართლოსთვის მიმართვისა და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები, გულისხმობს კალენდარულ დღეებს (საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით). გამომდინარე აქედან, სასამართლოს მიაჩნია, რომ საარჩევნო დავის გაჭიანურების თავიდან აცილებას ემსახურება 72-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მონაცემების შესაბამისად, განცხადება/საჩივრით აუცილებელი ინფორმაციის საჩივრის ავტორის მხრიდან საარჩევნო კომისიისათვის მიწოდების ვალდებულება.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ **2020 წლის 31 ოქტომბერს** საქართველოს პარლამენტის არჩევნების და აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით, როგორც პროპორციული ისე მაჟორიტარული წესით - მოსარჩელის მიერ მითითებულ საუბნო საარჩევნოს კომისიების შემაჯამებელ ოქმებთან, ბიულეტენებთან და სხვა სახის დარღვევებთან დაკავშირებით არჩევნებში ჩართულის მხარეების მიერ შეტანილი იქნა შესაბამისი საჩივრები, რაც განხილული იქნა, როგორც საოლქო საარჩევნო კომისიების ისე შესაბამისი სასამართლოების მიერ და არსებობს შესაბამისი გადაწყვეტილებები.



გარდა **ამისა** **საოლქო** **სარჩევნო** **კომისიების** **კენჭისყრის** **შედეგების** **შემაჯამებელი** **ოქმები** (**იხ.** **გადაწყვეტილების 4.6. პუნქტი**) **წარმოადგენს** **ინდივიდუალურ** **ადმინისტრაციულ-სამართლებრივ** **აქტს**, **რადგან** **ის** **გამოცემულია** **ადმინისტრაციული** **ორგანოს** **მიერ** **და** **მას** **შეიძლება** **მოჰყოლოდა** **სამართლებრივი** **შედეგი** **ამასთანავე**, **სასამართლო** **მიუთითებს**, **აღნიშნული** **ოქმები** **მოსარჩელის** **მხრიდან** **სადაც** **არ** **გამხდარა** **და** **არ** **გასაჩივრებულა** **გამომდინარე** **სამართლებრივი** **შედეგები** **შენარჩუნებულია** **და** **ძალაშია** **და** **მასში** **ასახული** **გადაწყვეტილებები** **გადასინჯვას** **აღარ** **ექვემდებარება**. **მოსარჩელის** **მიერ** **ზემოთ** **ხსენებული** **ოქმების** **არ** **გასაჩივრებით** **კი** **ამოიწურა** **ხსენებული** **აქტების**, **როგორც** **ინდივიდუალური** **ადმინისტრაციულ**-**სამართლებრივი** **აქტის** **კანონიერების** **სასამართლო** **წესით** **შემოწმების** **საშუალება**, **რაც** **ნიშნავს** **იმას**, **რომ** **მოსარჩელის** **მიერ** **სარჩელით** **სადაც** **გამხდარი** **აქტები** **ლეგალიზებულია** **და** **სავალდებულო** **ძალის** **მქონეა**. **ადმინისტრაციული** **საპროცესო** **კოდექსის** **პირველი** **მუხლის** **მეორე** **ნაწილის** **შესაბამისად** **თუ** **ამ** **კოდექსით** **სხვა** **რამ** **არ** **არის** **დადგენილი**, **ადმინისტრაციულ** **სამართალწარმოებაში** **გამოიყენება** **საქართველოს** **სამოქალაქო** **საპროცესო** **კოდექსის** **დებულებანი**, **ხოლო** **საქართველოს** **სსკ-ის** **248-ე** **მუხლის** **თანახმად** **სასამართლოს** **უფლება** **არა** **აქვს** **მიაკუთვნოს** **თავისი** **გადაწყვეტილებით** **მხარეს** **ის**, **რაც** **მას** **არ** **უთხოვია**, **ან** **იმაზე** **მეტი**, **ვიდრე** **ის** **მოითხოვდა**.

სასამართლო **მიუთითებს** **საქართველოს** **ზოგადი** **ადმინისტრაციული** **კოდექსის** **60¹** **მუხლზე**, **რომლის** **პირველი** **ნაწილის** **თანახმად**, **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი** **აქტი** **ბათილია**, **თუ** **იგი** **ეწინააღმდეგება** **კანონს** **ან** **არსებითად** **დარღვეულია** **მისი** **მომზადების** **ან** **გამოცემის** **კანონმდებლობით** **დადგენილი** **სხვა** **მოთხოვნები**. **ამავე** **მუხლის** **მე-2** **ნაწილით**, **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი** **აქტის** **მომზადების** **ან** **გამოცემის** **წესის** **არსებით** **დარღვევად** **ჩაითვლება** **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი** **აქტის** **გამოცემა** **ამ** **კოდექსის** **32-ე** **ან** **34-ე** **მუხლით** **გათვალისწინებული** **წესის** **დარღვევით** **ჩატარებულ** **სხდომაზე** **ან** **კანონით** **გათვალისწინებული** **ადმინისტრაციული** **წარმოების** **სახის** **დარღვევით**, **ანდა** **კანონის** **ისეთი** **დარღვევა**, **რომლის** **არარსებობის** **შემთხვევაში** **მოცემულ** **საკითხზე** **მიღებული** **იქნებოდა** **სხვაგვარი** **გადაწყვეტილება**. **ამდენად**, **საქმის** **კონკრეტული** **გარემოებების** **საფუძველზე** **უნდა** **იქნეს** **გადაწყვეტილი** **საქმეში** **წარმოდგენილი** **დარღვევები** **ჩაითვლება** **თუ** **არა** **ისეთ** **არსებით** **დარღვევად**, **რომელიც** **განაპირობებს** **სადაც** **ინდივიდუალური** **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი** **აქტის** **ბათილად** **ცნობას** **და** **ახალი** **ინდივიდუალური** **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი** **აქტის** **გამოცემის** **დავალების** **აუცილებლობას**.

საქართველოს **ზოგადი** **ადმინისტრაციული** **კოდექსის** **53-ე** **მუხლის** **მე-5** **ნაწილის** **თანახმად**, **ადმინისტრაციული** **ორგანო** **უფლებამოსილი** **არ** **არის** **თავისი** **გადაწყვეტილება** **დააფუძნოს** **იმ** **გარემოებებზე**, **ფაქტებზე**, **მტკიცებულებებზე** **ან** **არგუმენტებზე**, **რომლებიც** **არ** **იქნა** **გამოკვლეული** **და** **შესწავლილი** **ადმინისტრაციული** **წარმოების** **დროს**. **სასამართლო** **განმარტავს**, **რომ** **ინდივიდუალური** **ადმინისტრაციულ-სამართლებრივი** **აქტის** **დასაბუთების** **კანონისმიერი** **ვალდებულება** **განპირობებულია** **იმ**



გარემოებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო შებოჭოს სამართლით და მოაქციოს თვითკონტროლის ფარგლებში, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ გარემოებებს და ფაქტებს, რომელთა შეფასებასაც ადმინისტრაციული ორგანო მიჰყავს საკითხის ამ თუ იმ გადაწყვეტამდე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილში რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების განხორციელების სავალდებულო პრინციპი - უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე მოქმედება.

სასამართლო ზემოხსენებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არ დადგინდა ისეთი სახის დარღვევა, რომელიც არსებით ან რაიმე სახის ზეგავლენას მოახდენდა საბოლოო შედეგებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, უსკოს სადაო შემაჯამებელი ოქმები გამოცემულია კანონმდებლობის სრული დაცვით, არ არსებობს მათ ბათილად ცნობის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები.

8.7. სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ აქტის მომზადებისა და გამოცემის წესის აშკარა დარღვევად ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ასეთი დარღვევის არ არსებობის შემთხვევაში აღნიშნულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2010 წლის 27 დეკემბრის N 1/1/493 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნა, რომ „არჩევნები არის ერთგვარი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს დემოკრატია. იმისათვის, რომ შედგეს „ხალხის მმართველობა”, ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკაში და ამის საუკეთესო გზა არჩევნებია. არჩევნები თავისთავად აჩენს განცდას და რწმენას ადამიანებში, რომ ისინი უშუალოდ იღებენ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში (ირჩევენ რა თავის რჩეულებს ან თავად არიან არჩეული). ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ტარდება არჩევნები, პირველ რიგში, როგორია თავად საარჩევნო კანონმდებლობა, რამდენად შეიცავს ის საკმარის და საჭირო გარანტიებს იმისათვის, რომ არჩევნების შედეგად ქვეყანამ, მისმა მოქალაქეებმა მიიღონ „ხალხის მმართველობა“. ეს შედეგი მიღწევადია, თუ არჩევნებში მონაწილეობა რეალურად თანაბრად არის ხელმისაწვდომი ყველა მოქალაქისთვის.

თანასწორობა ზოგადად საარჩევნო უფლების არსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. არჩევნების პროცესში სახელმწიფოს აქვს ვალდებულება თანასწორობის უზრუნველყოფელი პირობების შემოღებისა. ამ პროცესში მისი ძირითადი ფუნქციაა, არ მოახდინოს ვინმეს შეზღუდვა ან პრივილეგირება გონივრული დასაბუთების გარეშე. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ერთნაირი შესაძლებლობა, მიაღწიონ ცვლილებებს არჩევნების გზით: ერთი მხრივ, ყველა ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს ერთნაირი შესაძლებლობა, აირჩიოს თავისი წარმომადგენელი. ამ თვალსაზრისით თითოეულს უზრუნველყოფილი უნდა ჰქონდეს მთელ საარჩევნო პროცესში მონაწილეობისა და მის



შედეგებზე გავლენის მოხდენის ერთნაირი გარანტიები; ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკურ პარტიებს თუ ცალკეულ კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ ერთნაირი შესაძლებლობა, ამომრჩეველს შესთავაზონ რეალური პოლიტიკური არჩევანი. კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს საკმარის გარანტიებს იმისათვის, რომ პოლიტიკურ უმცირესობას ჰქონდეს რეალური შანსი, გახდეს უმრავლესობა, ანუ კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს უმცირესობის უნარების თვითრეალიზაციისთვის უმრავლესობასთან თანაბარ გარანტიებს, რათა, ერთი მხრივ, პოლიტიკურ ძალთა, ხოლო, მეორე მხრივ, მათ მხარდამჭერთა შეჯიბრი პოლიტიკურ პროცესში თანაბარ პირობებში წარიმართოს”.

სასამართლო ასევე განმარტავს, რომ ზოგადად არჩევნები მრავალსტადიანი ერთი მთლიანი დინამიური პროცესია, რომელიც მოიცავს ორგანულად ერთმანეთთან დაკავშირებულ სამ სტადიას: არჩევნების მომზადებას, ჩატარებას და შედეგების შეჯამებას. ამასთან სამივე სტადია ერთმანეთის განმსაზღვრელია და საბოლოოდ ასახავს ჩატარებული არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხს. ამ პროცესში სახელმწიფო მასზე დაკისრებული ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის კონკურენტული საარჩევნო გარემოს შექმნას უზრუნველყოფს შესაბამისი სამართლებრივი აქტების მიღებით. სწორედ ამ აქტებით, მათ შორის საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულია საარჩევნო პროცესის დემოკრატიულად მართვისა და ზედამხედველობის ინსტიტუციები, როგორიცაა მაგ.: საარჩევნო პროცესზე ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების მონიტორინგი, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების მონაწილეობა, საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმომადგენლის მეშვეობით შესაბამის საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობა და სხვა. ამასთან, ასევე მნიშვნელოვანს წარმოადგენს კანონმდებლის მიერ საარჩევნო პროცესზე ზედამხედველობითი ფუნქციით აღჭურვილი პირების მიმართ პროცედურული თუ სხვა სახის დარღვევების ფიქსაციის უფლების მინიჭებაც.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კანონმდებელმა არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის საფუძვლად საქართველოს საარჩევნო კოდექსის არა ნებისმიერი დარღვევა, არამედ მისი უხეშად დარღვევა მიიჩნია. ამასთან კანონის უხეშად დარღვევის ლეგიტიმურ განმარტებას საქართველოს საარჩევნო კოდექსი არ იძლევა. სასამართლოს აზრით, ნორმის სისტემური განმარტებიდან გამომდინარე, კანონმდებელი ამ ტერმინში მოიაზრებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის ნორმათა ისეთ არსებით, მასშტაბურ და სისტემატიურ დარღვევას, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს საარჩევნო პროცესზე და მის შედეგზე – ამ დარღვევის არსებობით ვერ იქნა მიღებული „ხალხის მმართველობა”, რაც მისი გაუქმების უპირობო საფუძველია.

8.8. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ, თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის



პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. ამავე კოდექსის 33-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მიღებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, იგი არ ეწინააღმდეგება „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ მოთხოვნებს და არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით გათვალისწინებული მათი ბათილად ცნობის, არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძვლები.

9. საპროცესო ხარჯები

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმეობაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ხოლო ამავე კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო ხარჯებს მოიცავს სახელმწიფო ბაჟი, რაც მოსარჩელის მიერ გადახდილია ჯამში - **100 (ასი) ლარის ოდენობით.** ამასთან, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს მოსარჩელეზე სახელმწიფო ბაჟის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი, ხოლო მის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი კი უნდა ჩაითვალოს ბიუჯეტში გადახდილად.

10. უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხები

მოცემულ საქმეზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა.

სარეზოლუციო ნაწილი :



სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, მე-10, მე-12, მე-19, 22-ე, 32-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 37-ე, 55-ე, 244-ე, 248-ე, 249-ე, 257-ე, 364-ე, 369-ე მუხლებით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ 73.5-ე მუხლით.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

- ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მომრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
- მოსარჩელის მიერ სარჩელის აღმვრისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარი ჩაითვალოს ბიუჯეტში გადახდილად;
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საპელაციო საჩივრით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ. ქუთაისი, ნიუ-პორტის ქუჩა №32), მისი გამოტანიდან 02(ორი) დღის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდებარე: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30) მეშვეობით.

მოსამართლე

კობა გოცირიძე

